განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
განათლების მეცნიერებები, დოქტორანტურა
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
27 აგვისტო, 2021 წელი
დასკვნის წარდგენის თარიღი
15 ოქტომბერი 2021 წელი

თბილისი, 2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	400028849
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	განათლების მეცნიერებები / Education Sciences
უმაღლესი განათლების საფეხური	მესამე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	განათლების მეცნიერებების დოქტორი / Doctor of Education Sciences
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	განათლების მეცნიერებები - 0111
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	45 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ ფარჯანაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ელენე ჯიბლაძე, ილიას სახელმწიფო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია. პროგრამა შემუშავებულია უსდ-ს აკადემიური პერსონალის მიერ და მისი განხორციელება იგეგმება მიდლსექსის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) განათლების დეპარტამენტის მხარდაჭერით. პროგრამაზე სწავლების ენა არის ინგლისური. უსდ-ს წარმომადგენლების განმარტებით, უნივერსიტეტს განათლების მეცნიერებების მიმართულებით დაუგროვდა ღირებული გამოცდილება სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში და აუცილებელია ამ დადებითი გამოცდილების სათანადოდ გამოყენება და კვლევითი კომპონენტით გაძლიერება. შესაბამისად, უსდ-მ მიიღო სადოქტორო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების გადაწყვეტილება, რაც ეხმიანება უსდ-ს ,,განვითარების პრიორიტეტებს და შესაბამისად, ორიენტირებულია თავისი წვლილი შეიტანოს დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადების პროცესში, სტუდენტის ინტელექტუალური, შემოქმედებითი და პროფესიული უნარების განვითარების გზით, უზრუნველყოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის შესაბამისი დონის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება[3].''

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულია დაშვების წინაპირობა და მოცემულ პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. უსდ-ს მიერ განსაზღვრული დამატებითი წინაპირობაა ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ ALTE - ს (Association of Language Testers in Europe) შესაბამისად C1 დონეზე. ინგლისური ენის სათანადოდ ფლობა უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით.

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო (45 ECTS კრედიტი) და კვლევითი კომპონენტისაგან. მისი ხანგრძლივობა არის არანაკლებ 3 წელი. სასწავლო კომპონენტის შესასრულებლად სტუდენტმა წარმატებით უნდა გაიაროს სათანადო სასწავლო კურსები, რომელთა მიზანია სტუდენტს აღჭურვოს განათლების მეცნიერებების სპეციფიური საკითხების სიღრმისეული ცოდნით და გააცნოს დარგის კვლევის მეთოდოლოგიის სპეციფიკა. სასწავლო კომპონენტის მიზანია, სტუდენტი მოამზადოს კვლევითი კომპონენტისათვის, ხოლო ამ ორი კომპონენტის საერთო მიზანია დოქტორანტი მოამზადოს სადისერტაციო ნაშრომისა და მომავალი პედაგოგიური თუ სამეცნიერო საქმიანობისათვის. სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო 35 და

[3] შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში, გვ. 7

არჩევითი 10 ECTS კრედიტისაგან. არჩევითი სასწავლო კურსების მიზანია დოქტორანტი ჩაუღრმავდეს სკოლამდელი, ზოგადი (სასკოლო) და უმაღლესი განათლების სპეციფიკას. რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, იგი შედგება ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტისა და სადისერტაციო ნაშრომისაგან. კვლევითი პროექტები სადისერტაციო ნაშრომის ნაწილია. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვამდე დოქტორანტმა ასევე უნდა გამოაქვეყნოს სამი სტატია, რომელთაგან მინიმუმ ორი უნდა გამოქვეყნდეს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში.

პროგრამით გათვალისწინებულია, რომ მის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი და ყველა მათგანს აქვს სათანადო ცოდნა და კვალიფიკაცია და კვლევისა და სადოქტორო პროგრამაზე სწავლების გამოცდილება. დიდი ბრიტანეთის მიდლსექსის უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმების თანახმად, პროგრამის განხორციელებაში ჩაერთვება სამი მოწვეული პედაგოგი მიდლსექსის უნივერსიტეტის განათლების დეპარტამენტიდან, რომლების წაიკითხავენ სასწავლო კურსებს და ასევე მოიაზრებიან პოტენციურ ხელმძღვანელებად.

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ასევე განსაზღვრულია პოტენციური დასაქმების სფერო. განათლების მეცნიერებების დოქტორს შეუძლია დასაქმდეს ,,საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში განათლებისა და მეცნიერების სფეროს სახელმწიფო დაწესებულებებში, მის სტრუქტურულ ერთეულებში - რესურს-ცენტრებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, განათლების საკითხებზე მომუშავე კვლევით ინსტიტუტებში, საგანმანათლებლო პროგრამების/პროექტების განმახორციელებელ ორგანიზაციებში, საკონსულტაციო და/ან საექსპერტო საქმიანობის განმახორციელებელ კერძო ან არასამთავრობო ორგანიზაციებში, განათლების საკითხებით დაკავებულ არასამთავრობო სექტორში და უფლებამოსილია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიკავოს აკადემიური თანამდებობა საქართველოს/უცხოეთის შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.[4]''

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 27 აგვისტოს. COVID-19 პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო შეხვედრები ჩატარდა ონლაინ რეჟიმში ZOOM-პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტი წარიმართა უსდ-სთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით მშვიდ აკადემიურ გარემოში; გაიმართა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და დამსაქმებლებს. რადგან პროგრამა ახალია, აკრედიტაციის ჯგუფი შეხვდა იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ონლაინ პლატფორმის გამოყენებით მოხდა უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და გადამოწმდა საბიბლიოთეკო რესურსები და სამეცნიერო ბაზებთან წვდომა. აკრედიტაციის ჯგუფის წევრები, დაწესებულებაში არსებული სხვა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, გაეცნენ სადოქტორო ნაშრომებსა და აბსტრაქტებს. ვიზიტის ბოლოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უსდ-ს წარმომადგენლებს გააცნეს პროგრამის შესახებ ძირითადი მიგნებები და მოსაზრებები.

[4] შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში, გვ. 8

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებული შეფასებების შესაბამისად, I და II სტანდარტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო III, IV და V სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - აუცილებელია, პროგრამით მისაღწევი სწავლის შედეგები იმგვარად დაიგეგმოს და განისაზღვროს, რომ ყველა სტუდენტს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა საგანამანათლებლო საფეხურის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მინიმალურ დონეზე მაინც მიიღოს სათანადო ცოდნა და გამოუმუშავდეს კონკრეტული უნარ-ჩვევები.
  - აუცილებელია გადაიხედოს ლოგიკა და მიდგომა, თუ რა დოზითა და მოცულობით (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) მიიღწევა კონკრეტული სწავლის შედეგი კონკრეტული სასწავლო კურსების მეშვეობით.
  - პროგრამის სასწავლო გეგმისა და სილაბუსების ანალიზის შედეგად შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ განათლების სოციოლოგია და ფსიქოლოგია (პროგრამის სწავლის ერთ-ერთი შედეგი) სასწავლო გეგმაში სათანადო ხვედრითი წილით არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, სადოქტორო საფეხურზე პროგრამის სწავლის შედეგზე გასასვლელად აუცილებელია ამ საკითხების უფრო კონცენტრირებულად და სიღრმისეულად გავლა ცალკე სასწავლო კურსის პირობებში.
  - სადოქტორო დებულებაში განმარტებულია, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენის წინაპირობას, თუმცა ეს დებულება არ განმარტავს, როგორ უზრუნველყოფს პროგრამა, რომ სტუდენტი ასრულებს კვლევით პროექტს და ასევე, არ განმარტავს ისეთ სცენარს, როდესაც სტუდენტი არ ასრულებს კვლევით პროექტს. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სადოქტორო დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. შესაბამისად, აუცილებელია უკეთ განიმარტოს სამეცნიერო-კვლევით პროექტების შესრულებასთან დაკავშირებული პროცედურები და აუცილებელია ამ პროცესების დეტალურად აღწერა და ფორმალიზება;

  - ა) განათლების ფილოსოფია და პოლიტიკა და ბ) განათლების პოლიტიკა, ეთიკა და სამართალი - ამ ორ სასწავლო კურსს შორის დიდია გადაფარვა განათლების პოლიტიკის საკითხების თვალსაზრისით; განათლების პოლიტიკის მსგავსად, აუცილებელია განათლების სოციოლოგიის საკითხების შესწავლა და კვლევა თანმიმდევრულად, რომ სტუდენტმა უკეთ დაინახოს განსახილვევ საკითხებს შორის კავშირი. შესაბამისად, აუცილებელია ამ შესასწავლი საკითხების შესაბამის სასწავლო კურსებში თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგება.
  - განათლების პოლიტიკა, ეთიკისა და სამართლის სასწავლო კურსი მოიცავს განათლების პოლიტიკისა და სამართლის ორ მნიშვნელოვან მიმართულებას და რთულია 5 კრედიტის ფარგლებში ამ ორი დამოუკიდებელი დისციპლინის სიღრმისეული შესწავლა. შესაბამისად, აუცილებელია განათლების პოლიტიკისა და განათლების სამართლის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

- აუცილებელია სწავლების მეთოდების სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების მოცულობის გადახედვა. სასწავლო კურსში მოცემული მასალის შესწავლა შესაძლებელია 5 ECTS კრედიტისათვის გათვალისწინებული დროის ფარგლებში. სასწავლო კურსი მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, მაგრამ იგი არ გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პრაქტიკის გავლას, არამედ სტუდენტის მიერ პრაქტიკული ხასიათის დავალებების შესრულებას და საჩვენებელი ლექციის ჩატარებას. შესაბამისად, არ არის აუცილებელი პრაქტიკული კომპონენტისათვის დამატებით 5 კრედიტის და მთელი სასწავლო კურსისათვის 10 ECTS კრედიტის გამოყოფა.
- მნიშვნელოვანია თუ საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასებაში ჩაერთვებიან დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია, რომ ყველა დაინტერესებული მხარე, მაგალითად, პოტენციური დამსაქმებლები უფრო ინტერსიურად იყვნენ ჩართულები პროგრამის შეფასების პროცესში.
  - პრეზენტაციის სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია 28%, თუმცა პრეზენტაცია შედგება 5 კომპონენტისაგან და თითოეულის სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია 7%, რაც ჯამში 28%-ის ნაცვლად შეადგენს 35%-ს; შესაძლოა, ეს არის ტექნიკური უზუსტობა და სასურველია დანართ 14.4-ში (პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა) გადამოწმდეს და დაზუსტდეს სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაციისათვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნული.
  - პროგრამის ხელმძღვანელებთან და თვითშეფასების გუნდთან გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ გუნდს სწორი და მართებული პოზიცია აქვთ შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების პერსპექტივებთან დაკავშირებით, მაგრამ სასურველია ეს ხედვები და მიდგომები შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტშიც ასახულიყო.
  - სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაემატოს განათლების სფეროში მუშაობის წინარე გამოცდილება; განათლების სფეროში მიღებული წინარე გამოცდილება დაეხმარებოდა კანდიდატს უკეთ დაგეგმოს საკუთარი სწავლისა და კვლევის პროცესი სადოქტორო პროგრამაზე სწავლისა და კვლევისას.
  - სწავლების მეთოდების სასწავლო კურსის მოცულობის 10 კრედიტიდან 5 კრედიტამდე შემცირების შედეგად გამოთავისუფლებული 5 კრედითი შეიძლება დაეთმოს განათლების პოლიტიკის, ან განათლების სოციოლოგიის ინდივიდუალურ სასწავლო კურსს.
  - სასურველია, სტუდენტების მეტი ინფორმირება აკადემიურ პერსონალთან საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებით.
  - სასურველია, რომ უნივერსიტეტმა მოახდინოს აკადემიური პერსონალის ჩართულობის ფორმალიზება, მაგ. უცხოელ სპეციალისტებთან შესაბამისი კონტრაქტების გაფორმება, რომ ნათლად გამოჩნდეს მათი პროგრამაში ჩართულობსი გრძელვადიანი პერსპექტივა.
  - აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემაში არსებული ინდიკატორები, ანუ დასახული მიზნების მისაღწევი ნიშნულები, სასურველია იყოს გაზომვადი.

- სასურველია ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკის ფორმალური დოკუმენტის შემუშავება, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოწვეული აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები.
- სასურველია, თუკი პროგრამის განმახორციელებლები მოახდენდნენ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შედარებას და ასევე ამ პრინციპით განიხილავდნენ უცხოურ ანალოგებს, რათა დაენახათ საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამის უპირატესობა და/ან გასაუმჯობესებელი მხარეები, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა გეგმავს არამარტო ქართველ, არამედ უცხოელ სტუდენტთა მოზიდვას;
- საგანმანათლებლო პროგრამის პერსპექტივების გამოკვეთის მიზნით მნიშვნელვანი იქნებოდა, თუ კი პროგრამის განმახორციელებლები შეისწავლიდნენ პოტენციურ სტუდენტთა (ნებისმიერი ამ სფეროში სწავლის გაგრძელების მსურველთა (საკუთარი უნივერსიტეტის ფარგლებში) ან იმ სტუდენტთა, რომლებიც ამ დარგის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობენ, ან სწავლობდნენ ქართულ უსდ-ებში.) პოზიციას საგანმანათლებლო პროგრამის და მასში ჩამოყალიბებული კონცეფციის თაობაზე.
- სასურველია, უნივერსიტეტმა იზრუნოს, რომ დოქტორანტებს წვდომა ქონდეთ ისეთ პროგრამებზე, როგორიცაა, მაგ. SPSS, NVivo, ATLASti, თუ სხვა. იგივე ეხება ბიბლიოგრაფიული მასალების სისტემატიზების დამხმარე საშუალებებს - EndNote, Mendeley, Zotero (ღია წყარო).
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებმა უფრო აქტიურად ჩართონ დამსაქმებლები პროგრამის განვითარების პროცესებში.

უსდ-ს მიერ გამოგზავნილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინება/არ-გა\ტვალისწინების საკითხი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ მოზიციას და განხილვის შედეგად მიზანშეწონილად არ მიიჩნია დასკნაში რაიმე ცვლილების განხორციელება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულებად აღებულია სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული კომპონენტისა შესაფასებლად გამოყოფილი მაქსიმალური პროცენტული მოცულობის საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილი, რაც მაღალი აკადემიური სტანდარტის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება იყოს.
  - მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია მდიდარი თანამედროვე ლიტერატურა და განათლების მეცნიერებების დარგის წამყვანი სპეციალისტების პუბლიკაციები, რაც სტუდენტს შესაძლებლობას მისცემს გაეცნოს განათლების მეცნიერებების სფეროს უახლეს მიღწევებს.
  - პროგრამაში ჩართულია დარგის როგორც ადგილობრივი, ასევე საზღვარგარეთის წამყვანი სპეციალისტები, რაც სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მაქსიმალური ხელშეწყობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.

- ადამიანური რესურსები პროგრამის ძლიერი მხარეა. საერთაშორისო და ადგილობრივი პროფესიონალების თანამშრომლობა ინტერნაციონალიზაციის კარგი მაგალითია ქართულს საგანმანათლებლო სივრცეში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები ნათლად არის ფორმულირებული, რეალისტურია, განიხილავს განათლების მეცნიერების სფეროს თანამედროვე გაგებით და ასახავს დარგის სპეციფიკას. პროგრამის მიზნები თანხვედრაშია შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში „უსდ") მისიასთან, რომელიც აქცენტს აკეთებს სწავლებისა და კვლევის განუყოფლობაზე, საერთაშორისო და ქართული სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე, სწავლების, სამეცნიერო კვლევებისა და აკადემიური გარემოს შექმნის ხელშეწყობაზე. შესაბამისად, პროგრამის მიზანი ეხმიანება უსდ-ს მისიას და ასახავს როგორც დარგის, ასევე საგანმანათლებლო საფეხურის (დოქტორანტურა) სპეციფიკას. პროგრამის მიზნები ნათლად განმარტავს რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციას გამოუმუშავებს კურსდამთავრებულებს - განათლების მეცნიერებების სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, განათლების მეცნიერებების სფეროში ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების დაცვით კვლევის დაგეგმვისა და წარმართვის უნარი, და სწავლების უნარი. პროგრამის მიზანი ასახავს, რა წვლილს შეიტანს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. როგორც აღინიშნა, პროგრამის მიზანი ითვალისწინებს განათლების მეცნიერებების დარგის სპეციფიკას, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს. მასში ასევე გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის საკითხები როგორც სწავლების, ასევე კვლევისა და დასაქმების მიმართულებით. პროგრამის მისია გაზიარებულია უსდ-ს ადმინისტრაციისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის მიერ. რაც შეეხება საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, პროგრამა ახალია და შესაბამისად, არ არის განთავსებული უსდ-ს ვებ-გვერდზე. თუმცა, უსდ-ს ვებ-გვერდის შესწავლის შედეგად შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ უსდ-ს მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე და უსდ უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. მაგალითად, სამართლის სადოქტორო პროგრამა: [სამართალის სადოქტორო პროგრამა (eeu.edu.ge)](); უსდ-ს ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია უსდ-ს მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ქართულ და ინგლისურ ენებზე: [საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) (eeu.edu.ge)](), [CATALOGY OF EDUCATION PROGRAMS (eeu.edu.ge)]().

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უსდ-ს მისია: [მისია და განვითარების გეგმები (eeu.edu.ge)](); ○ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში; ○ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დანართი 1.3. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების რუკა; ○ შრომის ბაზრის ანალიზი, დანართი 2.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-მ წარმოადგინა დანართი 1.3. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების რუკა და ეს დოკუმენტი იძლევა ღირებულ ინფორმაციას პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების გასაანალიზებლად. პროგრამის სწავლის შედეგები მჭიდროდ არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და ასახავს მისაღწევ შედეგებს ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის პერსპექტივიდან. სწავლის შედეგები გაზომვადია და შეესაბამება კვალიფიკაციის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. მასში ასახულია განათლების მეცნიერებების სფეროს სპეციფიკა და შრომის ბაზრის მოთხოვნები. შრომის ბაზრის მოთხოვნები სიღრმისეულად არის გაანალიზებული განათლების მეცნიერებების ჭრილში მნიშვნელოვანი ინფორმაციის, მათ შორის სტატისტიკის ეროვნული ბიუროს 2019 წლის მონაცემების გამოყენებით. მიუხედავად ამისა, სწავლის შედეგების მიღწევისა და დასაქმების პოტენციური სფეროს აღწერისას სადოქტორო განათლების საფეხურზე აქცენტი არ არის გაკეთებული. თუმცა პროგრამის ხელმძღვანელებთან და თვითშეფასების გუნდთან გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ გუნდს სწორი და მართებული პოზიცია აქვთ შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების პერსპექტივებთან დაკავშირებით, მაგრამ სასურველია ეს ხედვები და მიდგომები შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტშიც ასახულიყო. პროგრამის სწავლის შედეგებს იცნობს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, თუმცა პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ისინი დეტალურად არ იცნობენ პროგრამის სპეციფიკას, მაგალითად, პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, სწავლის შედეგებს და ა.შ. შესაბამისად, სასურველია, რომ ყველა დაინტერესებული მხარე, მაგალითად, პოტენციური დამსაქმებლები უფრო ინტენსიურად იყვნენ ჩართულები პროგრამის შეფასების პროცესში.

რაც შეეხება სწავლის შედეგების მიღწევადობას და რეალისტურობას, დანართი 1.3 (პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების რუკა) იძლევა ანალიზისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. სწავლის შედეგი, რომელიც დაკავშირებულია პროგრამის პირველ მიზანთან და დანომრილია, როგორც სწავლის შედეგი A (დანართი 1.3, გვ. 2), განმარტავს, რომ კურსდამთავრებული აღწერს ,,... სკოლამდელი, სასკოლო ან უმაღლესი განათლების მართვის ძირითად პრინციპებსა და თანამედროვე გამოწვევებს''. განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამისათვის მნიშვნელოვანია ამ საკითხვების შესწავლა და კვლევა, მაგრამ პროგრამაში სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლების მართვის სპეციფიკა შეისწავლება არჩევითი სასწავლო კურსების მეშვეობით. არჩევითი კომპონენტი კი ნიშნავს, რომ სტუდენტი ირჩევს რომელიმე მათგანს; შესაბამისად, ლოგიკურად, სხვადასხვა სტუდენტი განსხვავებულ სწავლის შედეგზე გადის. რა თქმა უნდა, სხვადასხვა ინდივიდის ინტელექტუალური შესაძლებლობები განსხვავებულია და წარმოუდგენელია, რომ ყველა კურსდამთავრებულმა იდენტური ცოდნითა და უნარ-ჩვევებით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა, მაგრამ აუცილებელია, პროგრამით მისაღწევი სწავლის შედეგები იმგვარად დაიგეგმოს და განისაზღვროს, რომ ყველა სტუდენტს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა საგანამანათლებლო საფეხურის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მინიმალურ დონეზე მაინც მიიღოს სათანადო ცოდნა და გამოუმუშავდეს კონკრეტული უნარ-ჩვევები. არჩევითი კომპონენტით კი ამ კონკრეტული

სწავლის შედეგის მიღწევა შეუძლებელია. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები უნდა გაიზომოს სავალდებულო კომპონენტის და არა არჩევითი კომპონენტის მეშვეობით. არჩევითი კომპონენტით სწავლის შედეგის გაზომვა შეუძლებელია.

პროგრამის პირველ მიზანთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება განათლების შედარებითი სოციოლოგიის უახლოეს მიდგომებსა და სოციალური ფსიქოლოგიის ძირითად ასპექტებზე. პროგრამის სასწავლო გეგმისა და სილაბუსების ანალიზის შედეგად შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ განათლების სოციოლოგია და ფსიქოლოგია სასწავლო გეგმაში სათანადო ხვედრითი წილით არ არის წარმოდგენილი. მართალია განათლების სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის საკითხები სხვადასხვა სილაბუსში არის ასახული, მაგალითად განათლების ფილოსოფია და პოლიტიკის სასწავლო კურსის მე-5 კვირის განსახილველი თემა ,,კავშირი სოციოლოგიასთან და განათლებასთან'', მე-6 კვირის თემა ,,კავშირი სასწავლო პროცესის ფსიქოლოგიასთან'', მე-11 თემა ,,კაპიტალი, სოციალური სამართლიანობა და ცვლილებები'', განათლების ეთიკა, პოლიტიკა და სამართლის სასწავლო კურსის მე-9 თემა ,,თანაბარი დაცულობა, ენა და დესეგრეგაცია'', მე-11 თემა ,,სეგრეგაციის ახალი ტალღა, რასობრივი უთანასწორობის ახალი განზომილებანი'', მაგრამ სადოქტორო საფეხურზე პროგრამის სწავლის შედეგზე გასასვლელად აუცილებელია ამ საკითხების უფრო კონცენტრირებულად და სიღრმისეულად გავლა ცალკე სასწავლო კურსის პირობებში.

ასევე მნიშვნელოვანი საკითხია, ცალკეული სასწავლო კურსი რა დოზით უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას. ამ საკითხის ანალიზისთვისაც მნიშვნელოვანია დანართი 1.3, რომელიც განმარტავს, რომ ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს გაცნობის დონეზე, არჩევითი სასწავლო კურსები გაღრმავების დონეზე და სადისერტაციო ნაშრომი კი განმტკიცების დონეზე. წარმოუდგენელია, რომ, მაგალითად, სასწავლო კურსი ,,კვლევის მეთოდები განათლებაში'' მხოლოდ გაცნობის დონეზე აღწევდეს შესაბამის სწავლის შედეგს. ეს კონკრეტული კურსი ძალიან კარგად და თანმიმდევრულად არის დაგეგმილი და მასში მოცემული სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები გულისხმობს სწავლის შედეგის მიღწევას არა მხოლოდ გაცნობის, არამედ მინიმუმ გაღრმავების დონეზე. ამ კურსში ერთ-ერთი სწავლის შედეგია: (G) ახდენს კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციას, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციას და შეიმუშავებს კვლევით პროექტს. სწავლის შედეგის შეფასების მეთოდებიც საკმაოდ კომპლექსურია; მაგალითად, შუალედური გამოცდის დავალეებაა ანალიტიკური რეფერატის წარდგენა, ხოლო დასკვნითი გამოცდისთვის კი სტუდენტმა უნდა დაწეროს კვლევითი სტატია. წარმოუდგენელია, რომ მოცემული სასწავლო კურსი მხოლოდ გაცნობის დონეზე გავიდეს სწავლის შედეგზე, რადგან სტუდენტს ეძლევა ძალიან კომპლექსური და ანალიტიკური დავალება, რომელიც გულისხმობს სწავლის შედეგით გათვალისწინებული ცოდნის არა მარტო გაცნობის დონეზე დაუფლებას, არამედ ცოდნის გაღრმავებასა და ცოდნისა და უნარჩვევების განმტკიცებას. შესაბამისად, აუცილებელია გადაიხედოს ლოგიკა და მიდგომა, თუ რა დოზითა და მოცულობით მიიღწევა კონკრეტული სწავლის შედეგი კონკრეტული სასწავლო კურსების მეშვეობით.

უსდ-მ წარმოადგინა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა(დანართი 14.4), რომელშიც მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების მიღწევის

გასაზომად პროგრამა გამოიყენებს სადისერტაციო ნაშრომს - ცალკეული სტუდენტის მიერ მიღებულ შეფასებას სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად დადგენილი ცალკეული კომპონენტის მიხედვით. მაგალითად, სადისერტაციო ნაშრომის შეფასება (მაქსიმალური შეფასება 100%) შედგება სამი კომპონენტისაგანა: 1) დისერტაციის შინაარსობრივი მხარე (მთლიანი შეფასების 50%), 2) პრეზენტაცია (მთლიანი შეფასების 40%) და 3) დისკუსია (მთლიანი შეფასების 10%). სამიზნე ნიშნულებად დადგენილია, მაგალითად, დისერტაციის შინაარსობრივი მხარისათვის 50%-დან 40%, ხოლო პრეზენტაციის მაქსიმალური 40%-დან 28%, დისკუსიის მაქსიმალური 10%-დან კი 8%. პრეზენტაციის სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია 28%, თუმცა პრეზენტაცია შედგება 5 კომპონენტისაგან და თითოეულის სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია 7%, რაც ჯამში 28%-ის ნაცვლად შეადგენს 35%-ს; შესაძლოა, ეს არის ტექნიკური უზუსტობა და სასურველია დანართ 14.4-ში (პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა) გადამოწმდეს და დაზუსტდეს სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაციისათვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნული. სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულებად აღებულია სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული კომპონენტისა შესაფასებლად გამოყოფილი მაქსიმალური პროცენტული მოცულობის საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილი, რაც მაღალი აკადემიური სტანდარტის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება იყოს. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ანალიზი მოცემულია როგორც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი. სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირ მეთოდად კი იგეგმება კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. უსდ-მ წარმოადგინა კითხვარის ნიმუშები. სწავლის შედეგების შეფასება თანმიმდევრული და ლოგიკურია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი იცნობს ამ მეთოდებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დანართი 1.3. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების რუკა;
- დანართი 14.4 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან;

რეკომენდაციები:

- აუცილებელია, პროგრამით მისაღწევი სწავლის შედეგები იმგვარად დაიგეგმოს და განისაზღვროს, რომ ყველა სტუდენტს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა საგანამანათლებლო საფეხურის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მინიმალურ დონეზე მაინც მიიღოს სათანადო ცოდნა და გამოუმუშავდეს კონკრეტული უნარ-ჩვევები.
- აუცილებელია გადაიხედოს ლოგიკა და მიდგომა, თუ რა დოზითა და მოცულობით

(გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) მიიღწევა კონკრეტული სწავლის შედეგი კონკრეტული სასწავლო კურსების მეშვეობით.

- პროგრამის სასწავლო გეგმისა და სილაბუსების ანალიზის შედეგად შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ განათლების სოციოლოგია და ფსიქოლოგია (პროგრამის სწავლის ერთ-ერთი შედეგი) სასწავლო გეგმაში სათანადო ხვედრითი წილით არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, სადოქტორო საფეხურზე პროგრამის სწავლის შედეგზე გასასვლელად აუცილებელია ამ საკითხების უფრო კონცენტრირებულად და სიღრმისეულად გავლა ცალკე სასწავლო კურსის პირობებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ ყველა დაინტერესებული მხარე, მაგალითად, პოტენციური დამსაქმებლები უფრო ინტერსიურად იყვნენ ჩართულები პროგრამის შეფასების პროცესში.
- პრეზენტაციის სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია 28%, თუმცა პრეზენტაცია შედგება 5 კომპონენტისაგან და თითოეულის სამიზნე ნიშნულად განსაზღვრულია 7%, რაც ჯამში 28%-ის ნაცვლად შეადგენს 35%-ს; შესაძლოა, ეს არის ტექნიკური უზუსტობა და სასურველია დანართ 14.4-ში (პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა) გადამოწმდეს და დაზუსტდეს სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაციისათვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნული.
- პროგრამის ხელმძღვანელებთან და თვითშეფასების გუნდთან გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ გუნდს სწორი და მართებული პოზიცია აქვთ შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების პერსპექტივებთან დაკავშირებით, მაგრამ სასურველია ეს ხედვები და მიდგომები შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტშიც ასახულიყო.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულებად აღებულია სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული კომპონენტისა შესაფასებლად გამოყოფილი მაქსიმალური პროცენტული მოცულობის საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილი, რაც მაღალი აკადემიური სტანდარტის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება იყოს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცესის ანალიზი დაეფუძნა სადოქტორო პროგრამაში, დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტში (დანართი 14.1), დოქტორანტურის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში მოცემულ, ასევე პროგრამის თვითშეფასების გუნდის, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისა და პროგრამის ხელმძღვანელებისაგან მიღებულ ინფორმაციას. პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. პროგრამაში აღნიშნულია, რომ პროგრამაზე მიღების პირობების და

კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია თავსდება უსდ-ს ვებ-გვერდზე. უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის პროგრამაზე ჩარიცხვა რეგულირდება ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. რადგან პროგრამაზე სწავლების ენა არის ინგლისური, კანდიდატმა უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის C1 დონეზე ცოდნა შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით. უშუალოდ პროგრამაში დაშვების სხვა წინაპირობა არ არის განსაზღვრული, მაგრამ მითითებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განისაზღვრება უსდ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით. ინტერვიუს დროს იგივე ინფორმაცია დაადასტურეს პროგრამის ხელმძღვანელებმა. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის მე-3 მუხლის შესაბამისად, პროგრამაზე მიღება ცხადდება შემოდგომისა და/ან გაზაფხულის სემესტრში. მე-4 მუხლი არეგულირებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობებს. კანდიდატმა ფაკულტეტის მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინოს უსდ-ს რექტორის სახელზე დაწერილი განცხადება, სადაც ეთითება საგანმანათლებლო პროგრამა; კანდიდატი წარადგენს ავტობიოგრაფიას, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტრურებელი დიპლომისა და დანართის ნოტარიულად დამოწმებულს ასლს, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლს, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლს, ფოტოსურათებს, სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტს (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული საქართველოს მოქალაქეებისათვის), საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ დონეზე ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლსა და დედანს, სამოტივაციო წერილი, კვლევის კონცეფცია, რომელიც მოიცავს ნაშრომის სავარაუდო სათაურსა და სტრუქტურას, კვლევის საგანსა და საკითხის მნიშვნელობის დასაბუთებას, სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობასა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობას. დოქტორანტურის კანდიდატი დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად გადის გასაუბრებას შესაბამის პროგრამაზე მიღების წინაპირობის გათვალისწინებით. დოქტორანტობის კანდიდატის გასაუბრების ან/და სპეციალობაში გამოცდის (ზეპირი ან/და წერითი ფორმით) შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით შეიძლება დადგენილ იქნეს პროგრამაზე მიღების დამატებითი მოთხოვნები. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტებისა და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამისა და განათლების საფეხურის (დოქტორანტურა) სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან,

სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. აკრედიტაციის ექსპერტებისა და ასევე, ზოგიერთი პოტენციური დამსაქმებლის მოსაზრებიდან გამომდინარე, სასურველია პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად განსაზღვრული იყოს წინარე გამოცდილება განათლების სფეროში. თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელის აზრით, ამ ტიპის წინაპირობა ხელს შეუშლის სხვა სფეროდან, მაგალითად ფინანსებიდან კანდიდატების მოზიდვას. მისი პირადი გამოცდილებით კი, ძალიან დიდი დეფიციტია განათლების სფეროს დაფინანსების მოდელების მცოდნე დაფინანსების სპეციალისტებზე. პროგრამის ხელმძღვანელის ეს მოსაზრება ლოგიკურია და მისაღებია, თუმცა განათლების სფეროში მიღებული წინარე გამოცდილება დაეხმარებოდა კანდიდატს უკეთ დაგეგმოს საკუთარი სწავლისა და კვლევის პროცესი სადოქტორო პროგრამაზე სწავლისა და კვლევისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ დანართი 14.1 დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი; ○ დოქტორანტურის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება; ○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების გუნდთან; ○ ინტერვიუ უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაემატოს განათლების სფეროში მუშაობის წინარე გამოცდილება; განათლების სფეროში მიღებული წინარე გამოცდილება დაეხმარებოდა კანდიდატს უკეთ დაგეგმოს საკუთარი სწავლისა და კვლევის პროცესი სადოქტორო პროგრამაზე სწავლისა და კვლევისას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; უსდ-მ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტი: დანართი 14.5 საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები. უსდ ახორციელებს სამივე საფეხურის, მათ შორის რეგულირებად, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს, სამედიცინო განათლების პროგრამას, ასევე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას და მოცემული დოკუმენტი არეგულრებს ყველა ამ პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესს. დოკუმენტის მიხედვით დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. სასწავლო კომპონენტს ეთმობა 45 ECTS კრედიტი. ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით (დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, მუხლი 5). დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვიდან ექვსი აქტიური სემესტრის გასვლის შემდეგ დოქტორანტის მომდევნო სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობაა სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობაზე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია დაასრულოს დოქტორანტურაში სწავლის/კვლევის პროცესი, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული სემესტრების განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 4 სასწავლო

სემესტრისა (დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება, მუხლი 12). შესაბამისად, დოქტორანტურის დებულებისა და პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მაქსიმალური ვადაა 5 წელი. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, თუმცა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, ზემოთ უკვე მოცემულია ანალიზი (სტანდარტი 1.2), რომლის მიხედვითაც სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლების მართვის სპეციფიკის შესწავლა ხდება არჩევითი სასწავლო კურსების მეშვეობით; არჩევითი სასწავლო კურსებით კი შეუძლებელია მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. ასევე, სტანდარტ 1.2-ის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ განათლების სოციოლოგიისა და განათლების სოციალური ფსიქოლოგიის სწავლის შედეგის მიღწევა შეუძლებელია მოცემულ სასწავლო კურსებში ამ საკითხების შესასწავლად გამოყოფილი დროისა და მოცულობის პირობებში.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები რეგულირდება დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-16 მუხლით. ამ კომპონენტების ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა გარკვეული რეკომენდაციები. სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში მითითებულია, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე სადოქტორო პროგრამის სტუდენტმა უნდა შეასრულოს ორი სამეცნიერო პროექტი, რომელიც არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი. მოცემული კვლევითი პროექტების მიზანი და დანიშნულება ღირებულია, რადგან იგი ხელს უწყობს დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევითი უნარების განვითარებას. მე-16 მუხლი განმარტავს, რომ სამეცნიერო-კვლევითი პროექტის არქიტექტონიკა განისაზღვრება შესაბამისი ინსტრუქციით, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. ამ ტიპის დოკუმენტი უსდ-ს აკრედიტაციის ექსპერტებისათვის არ წარუდგენია და პროგრამის ხელმძღვანელებმაც განმარტეს, რომ კვლევით პროექტთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება. ამ დებულებაში განმარტებულია, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენის წინაპირობას, თუმცა ეს დებულება არ განმარტავს, როგორ უზრუნველყოფს პროგრამა, რომ სტუდენტი ასრულებს კვლევით პროექტს და ასევე, არ განმარტავს ისეთ სცენარს, როდესაც სტუდენტი არ ასრულებს კვლევით პროექტს. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3), სადოქტორო დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, შესაბამისად, აუცილებელია უკეთ განიმარტოს სამეცნიერო-კვლევით პროექტებთან დაკავშირებული პროცედურები და აუცილებელია ამ პროცესების დეტალურად აღწერა და ფორმალიზება.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. იგი ითვალისწინებს კვლევის შედეგებისა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს და განათლების მეცნიერებების სფეროს განიხილავს მისი თანამედროვე, ფართო გაგებით. პროგრამის თვითშეფასების გუნდმა, პროგრამის ხელმძღვანელებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აჩვენა

პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ასევე მნიშვნელოვანია პროგრამის შემუშავებაში პოტენციური დამსაქმებლების სრულფასოვანი ჩართვა, რადგან ინტერვიუს მსვლელობისას ბევრმა მათგანმა ისაუბრა უსდ-ს მიერ განხორციელებული განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულობაზე, რაც თავისთავად ღირებული პრაქტიკაა; თუმცა, დამსაქმებლებს ნაწილს არ ქონდა დეტალური ინფორმაცია ამ კონკრეტული სადოქტორო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებით. ზოგიერთმა დამსაქმებელმა გამოთქვა გარკვეული მოსაზრებები პროგრამაზე დაშვების წინაპირობასა და სასწავლო კურსებთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასურველია პოტენციური დამსაქმებლების მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. განათლების ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, მაგრამ უსდ-ს ვებ-გვერდის შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულია უსდ-ს მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე და ასევე განთავსებულია პროგრამების კატალოგები ქართულ და ინგლისურ ენებზე. შესაბამისად, ლოგიკურია ვარაუდი, რომ უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; ○ დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3; ○ უსდ-ს ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: ○ სადოქტორო დებულებაში განმარტებულია, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენის წინაპირობას, თუმცა ეს დებულება არ განმარტავს, როგორ უზრუნველყოფს პროგრამა, რომ სტუდენტი ასრულებს კვლევით პროექტს და ასევე, არ განმარტავს ისეთ სცენარს, როდესაც სტუდენტი არ ასრულებს კვლევით პროექტს. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სადოქტორო დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, შესაბამისად, აუცილებელია უკეთ განიმარტოს სამეცნიერო-კვლევით პროექტების შესრულებასთან დაკავშირებული პროცედურები და აუცილებელია ამ პროცესების დეტალურად აღწერა და ფორმალიზება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსების სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობასთან დაკავშირებით სტანდარტ 1.2-ში უკვე მოცემულია რეკომენდაცია და აუცილებელია განათლების სოციოლოგიისა და განათლების სოციალური ფსიქოლოგიის საკითხები უფრო ღრმად და დეტალურად იყოს განხილული სასწავლო კურსებში, რათა პროგრამამ უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა. რაც შეეხება პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ განათლების მეცნიერებების დარგის მნიშვნელოვან საკითხებს, ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში უმეტესწილად გათვალისწინებულია ყველა არსებითი საკითხის შესწავლა და კვლევა. თუმცა კონკრეტულ სასწავლო კურსების შინაარსისა და მოცულობის ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა გარკვეული რეკომენდაციები. მაგალითად, ორ სასწავლო კურსს შორის დიდი გადაფარვაა შესასწავლი საკითხების თვალსაზრისით. ა) განათლების ფილოსოფია და პოლიტიკა და ბ) განათლების პოლიტიკა, ეთიკა და სამართალი მნიშვნელოვანწილად განიხილავს განათლების

პოლიტიკის არსებით საკითხებს. მაგალითად, განათლების ფილოსოფიისა და პოლიტიკის სასწავლო კურსის მე-7, მე-8, მე-9, მე-10 თემები და განათლების ეთიკა, პოლიტიკა და სამართლის სასწავლო კურსის მე-3, მე-6, მე-8, მე-10 თემები არის განათლების პოლიტიკის კვლევის ობიექტი და აუცილებელია მათი ერთ კონტექსტში თანმიმდევრული შესწავლა და კვლევა და არა დანაწევრებულად, სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში ამ საკითხების განხილვა. ასევე, როგორც 1.2 სტანდარტის ანალიზშია მოცემულია, ამ ორ სასწავლო კურსში გაბნეულია განათლების სოციოლოგიის საკითხები. განათლების პოლიტიკის მსგავსად, აუცილებელია განათლების სოციოლოგიის საკითხების შესწავლა და კვლევა თანმიმდევრულად, რომ სტუდენტმა უკეთ დაინახოს განსახილვევ საკითხებს შორის კავშირი. შესაბამისად, აუცილებელია ამ შესასწავლი საკითხების შესაბამის სასწავლო კურსებში თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგება. აკადემიური თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე, შეუძლებელია კონკრეტული რეკომენდაციის მიცემა, როგორ უნდა დარეგულირდეს ეს საკითხი. არჩევანი შეიძლება იყოს ა) განათლების პოლიტიკის, ან ბ) განათლების სოციოლოგიის ცალკე სასწავლო კურსებად გამოყოფა. ამ საკითხის დარეგულრება მნიშვნელოვანია არამარტო საკითხების გადაფარვის თავიდან აცილების თვალსაზრისით, არამედ მეორე მოსაზრებითაც. განათლების პოლიტიკა, ეთიკისა და სამართლის სასწავლო კურსი მოიცავს განათლების პოლიტიკისა და სამართლის ორ მნიშვნელოვან მიმართულებას და რთულია 5 კრედიტის ფარგლებში ამ ორი დამოუკიდებელი დისციპლინის სიღრმისეული შესწავლა. შესაბამისად, აუცილებელია განათლების პოლიტიკისა და განათლების სამართლის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ასევე აუცილებელია სწავლების მეთოდების სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების მოცულობის გადახედვა. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ მართებული და ლოგიკური ხედვა, რომ დოქტორანტმა აუცილებლად უნდა მიიღოს სათანადო ცოდნა სწავლება-სწავლის მეთოდების შესახებ, რადგან სადოქტორო პროგრამა მათ ამზადებს არამარტო კვლევითი, არამედ პედაგოგიური საქმიანობისათვის. თუმცა, სილაბუსში მოცემული შესასწავლი მასალის მოცულობის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მოცემული მასალის შესწავლა შესაძლებელია 5 ECTS კრედიტისათვის გათვალისწინებული დროის ფარგლებში. სასწავლო კურსი მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, მაგრამ იგი არ გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პრაქტიკის გავლას, არამედ სტუდენტის მიერ პრაქტიკული ხასიათის დავალებების შესრულებას და საჩვენებელი ლექციის ჩატარებას. შესაბამისად, არ არის აუცილებელი პრაქტიკული კომპონენტისათვის დამატებით 5 კრედიტის და მთელი სასწავლო კურსისათვის 10 ECTS კრედიტის გამოყოფა. გამოთავისუფლებული 5 კრედითი შეიძლება დაეთმოს განათლების პოლიტიკის, ან განათლების სოციოლოგიის ინდივიდუალურ სასწავლო კურსს.

სხვა სასწავლო კურსებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. მაგრამ, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, როგორც უკვე აღინიშნა 1.2 სტანდარტში, აუცილებელია განათლების მენეჯმენტის სამი სასწავლო კურსის (სკოლამდელი, სასკოლო და უმაღლესი განათლების მენეჯმენტის) სტატუსის გადახედვა. მოცემული სასწავლო კურსები არჩევითია, მაგრამ მათი სწავლის შედეგები გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგებში. არჩევითი კომპონენტის სწავლის

შედეგების პროგრამის საბოლოო სწავლის შედეგებში გათვალისწინება შეუძლებელია. სწორედ ამ მოსაზრებით, აუცილებელია ამ სასწავლო კურსების სტატუსის გადახედვა. ზოგადად, სასწავლო კურსებში მოცემული საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება შეფასების სათანადო მეთოდებით. სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია მდიდარი თანამედროვე ლიტერატურა და განათლების მეცნიერებების დარგის წამყვანი სპეციალისტების პუბლიკაციები, რაც სტუდენტს შესაძლებლობას მისცემს გაეცნოს განათლების მეცნიერებების სფეროს უახლეს მიღწევებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები.
რეკომენდაციები: ○ ა) განათლების ფილოსოფია და პოლიტიკა და ბ) განათლების პოლიტიკა, ეთიკა და სამართალი - ამ ორ სასწავლო კურსს შორის დიდია გადაფარვა განათლების პოლიტიკის საკითხების თვალსაზრისით; განათლების პოლიტიკის მსგავსად, აუცილებელია განათლების სოციოლოგიის საკითხების შესწავლა და კვლევა თანმიმდევრულად, რომ სტუდენტმა უკეთ დაინახოს განსახილველ საკითხებს შორის კავშირი. შესაბამისად, აუცილებელია ამ შესასწავლი საკითხების შესაბამის სასწავლო კურსებში თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგება. ○ განათლების პოლიტიკა, ეთიკისა და სამართლის სასწავლო კურსი მოიცავს განათლების პოლიტიკისა და სამართლის ორ მნიშვნელოვან მიმართულებას და რთულია 5 კრედიტის ფარგლებში ამ ორი დამოუკიდებელი დისციპლინის სიღრმისეული შესწავლა. შესაბამისად, აუცილებელია განათლების პოლიტიკისა და განათლების სამართლის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ○ აუცილებელია სწავლების მეთოდების სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების მოცულობის გადახედვა. სასწავლო კურსში მოცემული მასალის შესწავლა შესაძლებელია 5 ECTS კრედიტისათვის გათვალისწინებული დროის ფარგლებში. სასწავლო კურსი მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, მაგრამ იგი არ გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პრაქტიკის გავლას, არამედ სტუდენტის მიერ პრაქტიკული ხასიათის დავალებების შესრულებას და საჩვენებელი ლექციის ჩატარებას. შესაბამისად, არ არის აუცილებელი პრაქტიკული კომპონენტისათვის დამატებით 5 კრედიტის და მთელი სასწავლო კურსისათვის 10 ECTS კრედიტის გამოყოფა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სწავლების მეთოდების სასწავლო კურსის მოცულობის 10 კრედიტიდან 5 კრედიტამდე შემცირების შედეგად გამოთავისუფლებული 5 კრედითი შეიძლება დაეთმოს განათლების პოლიტიკის, ან განათლების სოციოლოგიის ინდივიდუალურ სასწავლო კურსს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია მდიდარი თანამედროვე ლიტერატურა და განათლების მეცნიერებების დარგის წამყვანი სპეციალისტების პუბლიკაციები, რაც სტუდენტს შესაძლებლობას მისცემს გაეცნოს განათლების მეცნიერებების სფეროს უახლეს მიღწევებს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **|** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსების ფორმატისა და შინაარსის, პროგრამაში მოცემული პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტებისა და საერთო საუნივერსიტეტო ინიციატივების (კვლევითი პროექტების დაფინანსება, ხელმძღვანელის მიერ სადოქტორო პროგრამის სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვა) მეშვეობით პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და მათ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართვას. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად სამეცნიერო-

კვლევით პროექტში ჩართვისას სტუდენტს ხელმძღვანელობს სფეროს კვალიფიცური პირი და აფასებს მის საქმიანობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ჩართულია დარგის როგორც ადგილობრივი, ასევე საზღვარგარეთის წამყვანი სპეციალისტები, რაც სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მაქსიმალური ხელშეწყობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი; ○ დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ მიდლსექსის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის განათლების დეპარტამენტთან დადებული თანამშრომლობის შეთანხმება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პროგრამაში ჩართულია დარგის როგორც ადგილობრივი, ასევე საზღვარგარეთის წამყვანი სპეციალისტები, რაც სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მაქსიმალური ხელშეწყობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში პროგრამა იყენებს სწავლება-სწავლის მრავალფეროვან მეთოდს, რომელიც შეესაბამება სადოქტორო პროგრამაზე სწავლების სპეციფიკას, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები აქცენტს აკეთებს ანალიტიკურ მიდგომებზე, სინთეზზე, ანალიზზე, პრობლემის გადაჭრასა და ა.შ. სტუდენტს ეძლევა იმ ტიპის დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია სწორედ ანალიტიკური აზროვნებისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე. სასწავლო კურსების უმეტესობაში მოცემულია რეფერატი, შემთხვევის ანალიზი, პრობლემის გადაჭრა, კვლევითი პროექტის წარდგენა, სტატიის დაწერა და ა.შ. ეს დავალებები სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტებიცაა, თუმცა ამავდროულად სწავლება-სწავლის მეთოდებსაც წარმოადგენს, რადგან ამ დავალებების შესრულების პროცესში სტუდენტს უხდება დიდი მოცულობით ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი, სინთეზი და შესაბამისად, ეს დავალებები სწავლება-სწავლის ინსტრუმენტებიცაა. რადგან პროგრამა ახალია, შეუძლებელია შეფასდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების პრაქტიკა; უსდ-ს მიერ განხორციელებული პროგრამების აქტიური სტატუსის მქონდე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგადაც ვერ მოხერხდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენების პრაქტიკის შესწავლა, რადგან არც-ერთ მათგანს არ დასჭირვებია განსაკუთრებული პირობები და არც სმენიათ რომელიმე სტუდენტთან ამგვარი პრაქტიკის გამოყენების შესახებ. თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოჩნდა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მომზადების საჭიროება. ეს პროცესი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაშიც არის აღწერილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ უსდ-ს მიერ განხორციელებული სხვა სადოქტორო პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

რადგან პროგრამა ახალია, მასზე ჯერ სტუდენტები არ არიან ჩარიცხული და შესაბამისად, ამ კონკრეტულ პროგრამასთან დაკავშირებით შეუძლებელია თქმა სტუდენტები წინასწარ იცნობენ თუ არა სტუდენტების შეფასების ფორმებს. თუმცა, უსდ-ს მიერ განხორციელებული სხვა სადოქტორო პროგრამების სტუდენტებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უსდ უზრუნველყოფს ამ ტიპის ინფორმაციის სტუდენტებისათვის მიწოდებას. სტუდენტების შეფასების ფორმები და მეთოდები გამჭვირვალეა და ობიექტურად შეაფასებს ცალკეული სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაობს.

სასწავლო კურსების შეფასება შედგება შეფასების კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმებისაგან, რისი დეტალური აღწერაც მოიპოვება თითოეული კურსის სილაბუსში. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის მაქსიმალურ დონეს წარმოადგენს 100-ქულა, რომელიც გაყოფილია შუალედურ შეფასებასა (60-70 ქულა) და დასკვნით

შეფასებაზე (30-40 ქულა). სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შუალედური შეფასების კომპონენტები განსხვავებულია და შეესაბამება კურსის შინაარს, კომპონენტების შემადგენობლაში შედის შემდეგი: პრეზენტაცია, საშინაო დავალება - ანალიტიკური ნაშრომი, შუალედური წერითი გამოცდა, საგამოცდო საკითხების შემუშავება, საგამოცდო ნაწერების გასწორება, საჩვენებელი სემინარის ან პრაქტიკუმის ჩატარება და სხვა. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის დასკვნითი შეფასების კომპონენტები ასევე მრავაფეროვანია და წარმოდგენილია შემდეგნაირად: პრაქტიკული კომპონენტის ანგარიშის პრეზენტაცია, საჩვენებელი ლექცია და მისი ზეპირი რეფლექცია, დასკვნითი წერითი გამოცდა, კვლევითი პროექტის მომზადება და სხვა. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი შეადგენს შეფასების 50%+1ქულას. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასება წარმოებს ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. უსდ-ს განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურად აღწერილია შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, როგორიცაა დისერტაციის შინაარსობრივი მხარის შეფასება, პრეზენტაცია, დისკუსია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://eeu.edu.ge; ○ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (EEU) განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები ○
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი განათლების დეპარტამენტი ,,ერთი სარკმლის'' პრინციპით იღებს დეტალურ ინფორმაციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ წესებსა და რეგულაციებს, სტუდენტთა უფლებებსა და მოვალეობებს, აწვდიან ინფორმაციას საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ და სხვა. უსდ-ს სტუდენტებისთვის შემუშავებულ გზამკვლევში დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის უფლება-მოვალეობები, შიდა მობილობა, კრედიტის მოპოვება და სტუდენტის

დატვირთვა, სტუდენტის შეფასება და სხვა.

განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის არსებობს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა EEU-EL, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სერვისებს, როგორიცაა საინფორმაციო დაფა, სემესტრული ანგარიშები, ანკეტური მონაცემები, შეფასებები, ცხრილი, სასწავლო პროგრამა, საფინანსო სერვისი და სხვა.

სტუდენტებისთვის, რომელიც დადგენილ ვადებში ვერ იხდის სწავლის საფასურს, შემუშავებულია სწავლის საფასურის გადახდის ეტაპობრივი სისტემა. უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ კონსულტაციას.

სილაბუსებში აღნიშნულია აკადემიურ პერსონალთან საკონსულტაციო საათები, თუმცა უსდ-ს მიერ განხორციელებული სხვა სადოქტორო პროგრამების სტუდენტების ინტერვიუირებისას გამოჩნდა, რომ საკონსულტაციო საათები საჭიროებს მეტ დაკონკრეტებას, რომ სტუდენტები იყვნენ მეტად ინფრომირებულები ამის შესახებ.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი და უსდ-ს მიერ განხორცილებული სადოქტორო პროგრამების სტუდენტებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ პროგრამების გაუმჯობესებისა და სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით რეგულარულად იმართება შეხვედრები ან სტუდენტების გამოკითხვები და მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სწავლება-სწავლის თუ ადმინისტრაციული პროცესების გასაუმჯობესებლად. ადმინისტრაციასთან კომუნიკაციას, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში, აიოლებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც აქტიურად გამოიყენება კომუნიკაციისათვის. კომუნიკაციისათვის ასევე გამოიყენება ინსტიტუციური იმეილი, სოციალური ქსელები და პანდემიის პერიოდში Microsoft Teams-ის პლატფორმაზე შეიქმნა საკონსულტაციო სივრცე, რაც ხელს უწყობს სტუდენტებსა და უსდ-ს ადმინისტრაციულ თუ აკადემიურ პერსონალს შორის კომუნიკაციას.

კარიერული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა თუ დასაქმების პროცესში ხელშეწყობის მიზნით მუდმივად ტარდება ინფორმაციული შეხვედრები, დასაქმების ფორუმები, პოტენციური დამსაქმებლების მოძიება და მათთან გასაუბრება. სტუდენტებთან ინტერვიუმ დაადასტურა თვითშეფასების დოკუმენტში მოცემული ეს ინფორმაცია.

აკადემიურმა პერსონალმა და ადმინისტრაციამ განმარტა, რომ სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის, კარიერული განვითარების, სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში ჩართვის მიზნით უსდ დარეგისტრირებულია EURAXESS საქართველოს ეროვნულ პორტალს, რაც ხელს უწყობს მკვლევართა კარიერულ განვითარებას. სტუდენტებს ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია და შესაძლებლობა აქვთ აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩაერთონ კვლევით პროექტებში. უსდ ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს, სემინარებს, ტრენინგებს და სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ამ აქტივობებში. სტუდენტები ასევე იღებენ ინფორმაციას გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ. ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან ყველა ამ მიმართულებით.

სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შესაძლებლობები დეტალურად არის აღწერილი უსდ-ს მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში და ინფორმაცია დადასტურდა აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://eeu.edu.ge; ○ ელექტრონული პლატფორმები: EEU-EL; MS TEAMS; ○ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტების გზამკვლევი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, სტუდენტების მეტი ინფორმირება აკადემიურ პერსონალთან საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (EEU) განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები. რადგან პროგრამა ახალია, ამ ეტაპზე არ არის კონკრეტული სტუდენტის მოქმედი ხელმძღვანელი, მაგრამ ინტერვიუს დაესწრო განათლების მიმართულებით ერთი აკადემიური პერსონალი და სხვა სადოქტორო პროგრამების სტუდენტების ხელმძღვანელები. პროგრამაში ჩართული ყველა აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი მოიაზრება სადოქტორო დისერტაციის პოტენციურ ხელმძღვანელად. პროგრამაში ჩართულ ყველა აკადემიურ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, რომ უხელმძღვანელოს დოქტორანტს. განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი, ასევე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ მოწვეული პირი.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს ან თანახელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში (სპეციალობაში, მიმართულებაში) კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები ბოლო 10 წლის განმავლობაში. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 5 დოქტორანტს.

სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია გაათვითცნობიეროს დოქტორანტი კვლევითი, ზეპირი და წერითი უნარების განვითარების მნიშვნელოვანი როლის შესახებ მომავალ სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობაში, მიაწოდოს დოქტორანტს დეტალური ინფორმაცია კვლევითი კომპონენტის შესრულების დადგენილი ვადების შესახებ, გაუწიოს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას რეგულარული მონიტორინგი და კონტროლი, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ყოველსემესტრულად წარუდგინოს წერილობითი ანგარიში დოქტორანტის კვლევითი საქმიანობის შესახებ და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (EEU) სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://eeu.edu.ge
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული

პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს პროგრამაში ჩართული ყავს 7 აკადემიური პერსონალი. ამათგან, 3 საერთაშორისო კოლეგაა განათლების სფეროში მტკიცე გამოცდილებით და სამეცნიერო პუბლიკაციებით სფეროში. ქართველ კოლეგებს აქვთ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორის გამოცდილება და კვლევის მიმართულებით შესაბამისი ცოდნა და კვალიფიკაცია. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ პროგრამაში ჩართული ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი მოიაზრება სადოქტორო პროგრამის სტუდენტების პოტენციურ ხელმძღვანელებად; ასევე, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სხვა უსდ-ან შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტის მოწვევა.

თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ საერთაშორისო კოლეგები აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია (გვ.37). თუმცა ეს ყველას შემთხვევაში არ დასტურდება - მაგ. ლიი ჯერომის და ფილ ბარტერის ბიოგრაფიებში აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა არ არის ნახსენები. არც სხვა რამ დოკუმენტია წარმოდგენილი ამის დასადასტურებლად. მნიშვნელოვანია, რომ ფორმალური მხარე უნივერსიტეტის მხრიდან მოწესრიგებული იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აკადემიური პერსონალის სრული შემადგენლობით პროგრამაში ჩართულობა სხვაგვარად ვერ დადასტურდება. იგივე ეხება აფილირების საკითხს. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, 7 აკადემიური პერსონალიდან 5 აფილირებულია (გვ.39). თუმცა ამის დადასტურებაც ძნელდება. მაგალითად, პროგრამაში ჩართული საერთაშორისო პერსონალიდან რამდენიმე მაინც უნდა იყვნენ აფილირებული აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ეს არ ჩანს. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა მოახდინოს აკადემიური პერსონალის ჩართულობის ფორმალიზება.

პროგრამის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ისინი პროგრამაზე ყოველწლიურად მაქსიმუმ 8 დოქტორანტის მიღებას გეგმავენ (თვითშეფასებაში ეს ინფორმაცია არ არის მოცემული). იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტის შიდა რეგულაციის მიხედვით, თითოეულ აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობა აქვს უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 5 დოქტორანტს, ექსპერტთა შეფასებით, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტი/აკადემიური პერსონალის ადეკვატურ თანაფარდობას. ამასთან, სასწავლო პროცესში ჩართული იქნებიან 1 ასისტენტ პროფესორი და 3 მოწვეული სპეციალისტი, რომლებიც აკადემიური პერსონალის ბირთვთან ერთად პროგრამის აკადემიურ კომპონენტს განახორციელებენ. ექსპერტთა შეფასებით, არსებული პერსონალით, უნივერსიტეტს შეუძლია პროგრამა განახორციელოს და უზრუნველყოს მისი მდგრადობა.

მეტიც, აკადემიური პერსონალის მდგრადობაზე მეტყველებს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ მასში ჩართული საერთაშორისო კოლეგები (რომლებიც აკადემიური პერსონალის უმრავლესობას წარმოადგენენ) არა ინდივიდუალური, არამედ ინსტიტუციური (უნივერსიტეტებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის) პარტნიორობის ფარგლებში არიან პროგრამაში ჩართულები.

პროგრამას ორი ხელმძღვანელი ყავს, რომელთან აკადემიური გამოცდილება და სამეცნიერო შეესატყვისება განათლების სადოქტორო პროგრამას. მნიშვნელოვანია, რომ ეს არის ბრიტანელი და ქართველი კოლეგების კოლაბორაცია და პროგრამას ინტერნაციონალიზაციის მტკიცე მაგალითად წარმოაჩენს.

პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცედურები უნივერსიტეტში გამართულია და დარეგულირებულია უნვიერსიტეტში არსებული „აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესით“. აქ განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსის ჩატარების წესი, რაც დიდწილად იმეორებს საქართველოში სხვა უნივერსიტეტებში არსებულ მოთხოვნებს (გვ.37). შიდა საუნივერსიტეტო პროცედურები შეესატყვისება შესაბამისი კანონებით დადგენილ მოთხოვნებს.

შეჯამებისთვის, ადამიანური რესურსები პროგრამის ძლიერი მხარეა. საერთაშორისო და ადგილობრივი პროფესიონალების თანამშრომლობა ინტერნაციონალიზაციის კარგი მაგალითია ქართულს საგანმანათლებლო სივრცეში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პერსონალის პირადი საქმე;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნივერსიტეტმა მოახდინოს აკადემიური პერსონალის ჩართულობის ფორმალიზება, მაგ. უცხოელ სპეციალისტებთან შესაბამისი კონტრაქტების გაფორმება, რომ ნათლად გამოჩნდეს მათი პროგრამაში ჩართულობსი გრძელვადიანი პერსპექტივა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ადამიანური რესურსები პროგრამის ძლიერი მხარეა. საერთაშორისო და ადგილობრივი პროფესიონალების თანამშრომლობა ინტერნაციონალიზაციის კარგი მაგალითია ქართულს საგანმანათლებლო სივრცეში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ხდება „პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესის“ მიხედვით. ეს მოიცავს პერსონალის სემესტრულ შეფასებას შემდეგი ფორმატებით:

- პერსონალის შეფასება ფაკულტეტის დეკანის მიერ
- პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ
- პერსონალის შეფასება განათლების დეპარატამენტის უფროსის მიერ
- პერსონალის შეფასება საგამოცდო ცენტრის უფროსის მიერ
- პერსონალის შეფასება სტუდენტის მიერ

ამ ინფორმაციის აგრეგაცია ხდება წლიურ ანგარიშებში. დანართი 14.6. - ხარისხის მექანიზმების გამოყენების ანგარიში - მკაფიოდ განმარტავს, რა მიზანი აქვს აკადემიური პერსონალის შეფასებას და რაში გამოიყენება იგი. შეფასების სისტემა, რომელიც დანერგილია უნვიერსიტეტში მიზნად ისახავს აკადემიური პერსონალის მისი საქმიანობის გაუმჯოებსებას, პროფესიული განვითარების აჭიროებების განსაზღვრას ... და უნივერსიტეტის ორგანიზაციულ განვითარებას.

დოკუმენტი კარგად წარმოაჩენს, რომ შეფასების სისტემა დანერგილია და მუშაობს. დოკუმენტში გაანალიზებულია უნივერსიტეტის 2019-20 აკადემიური წლის შედეგები და შესაბამისი რეკომენდაციები შემუშავებულია.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია დაასკვნას, რომ ამ

სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალის შეფასება იგივე სქემის მიხედვით მოხდება და მიღეული შედეგები გაანალიზდება პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით. ექსპერტთა ერთადერთი შემოთავაზება იქნება, შეფასების სისტემაში არსებული ინდიკატორები, ანუ დასახული მიზნების მისაღწევი ნიშნულები, გაზომვადი იყოს. მაგ. დოკუმენტის მიხედვით, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევით სამქიანობის შეფასება ორი ინდიკატორის მიხედვით ხდება: სამეცნიერო კვლევითი აქტივობების რაოდენობა და სამეცნიერო კვლევით ნაშრომების პროდუქტიულობა (გვ.23). მაგრამ არც ერთი ინდიკატორი არ მიუთითებს კონკრეტულ რაოდენობას ან პროდუქტიულობის დონეს, რომელსაც უნდა მიაღწიოს ინდივიდუალურმა თანამშრომლმა (მაგ. მინიმუმ 2 კონფერენციაში მომნაწილეობა, ან სულ მცირე 10 ციტირება გამოქვეყნებულ ნაშრომზე). გაზომვადი ინდიკატორების გარეშე მიღემული შედეგი ვერ მისცემს პროგრამას/უნივერსიტეტს განვითარების, დაგეგმილი პროგრესის რეალისტურ სურათს. შესაბამისად, ვერც აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები იქნება მართებულად შეფასებული. უნივერსიტეტში არსებობს პერსონალის პროფესიული განვითარების წამახალისებელი მექანიზმი, რომელიც პუბლიკაციების დაფინანსებას გულისხმობს და, შესაბამისად, კვლევით საქმიანობის წახალისებას უწყობს ხელს. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, სადაც მოცემულია პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალისთვის შეავაზებული ტრენინგების ჩამონათვალი, ჩანს, რომ ორგანიზაცია ზრუნავს აკადემიური პერსონალის საჭიროებაბზე. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიძია მოწვეული აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც ნათლად იქნებოდა წარმოდგენილი უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების პოლიტიკა. მსგავსი რამ შესაძლოა იყოს ხარისხის უზრუნველყოფის/განვითარების პოლიტიკის ნაწილი, ისევე როგორც ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკის ნაწილი. უსდ-მ ნამდვილად წარმოადგინა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალი და ეს ღონისძიებები გულისხმობს პროფესიულ განვითარებას. სასურველია ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკის ფორმალური დოკუმენტის შემუშავება, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოწვეული აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები. მაგალითად, ასეთი დოკუმენტი შემუშავებულია აფილირებული აკადემიური პერსონალისათვის და სასურველია მსგავსი დოკუმენტი შემუშავდეს მოწვეული პერსონალისთვისაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი აფილირების წესი; ○ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტი; ○
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემაში არსებული ინდიკატორები, ანუ დასახული მიზნების მისაღწევი ნიშნულები, სასურველია იყოს გაზომვადი.
- სასურველია ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკის ფორმალური დოკუმენტის შემუშავება, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოწვეული აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს ორ ლოკაციაზე აქვს ორი კორპუსი (შატილის ქ. 4 და ენუქიძის ქ. 6). ახალი კამპუსის გახსნა დაგეგმილია მიმდინარე წელს ენუქიძის ქ. 6-ში. ჯამში, უნივერსიტეტის მფლობელობაშია 4830 კვ.მ სასწავლო ფართი, ხოლო არასასწავლო ფართის ჩათვლით, რაც მოიცავს სპორტულ დარბაზს, ეზოს და ა.შ., 9381 კვ.მ.

სადოქტორო პროგრამისთვის მნიშვნელოვანი რესურსი დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია. სხვა პროგრამის დოქტორანტებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ დოქტორანტებს აქვთ ცაკლე სამუშაო სივრცე, რაც უმნიშვნელოვანესია დოქტორანტების ხანგრძლივი კვლევით მუშაობის მხარდასაჭერად. ასევე, საბიბლიოთეკო რესურსი,

როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ ბაზებზე წვდომა, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე დისტანციურად. ეს მნიშვნელოვანია დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობის ხელშესაწყობად ჩვეულებრივი სამუშაო პირობების შემთხვევაში ისევე როგორც პანდემიის პირობებში. პროგრამის კურიკულუმით განსაზღვრული აკადემიური ლიტერატურა ბიბლიოთეკაში არსებობს და მეტიც; მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუციური თანამშრომლობის ფარგლებში, განათლების სადოქტორო პროგრამის აკადემიურ პერსონალს და დოქტორანტებს წვდომა ექნებათ Middlesex უნივერსიტეტის განათლების დეპარტამენტის სამეცნიერო და სასწავლო მასალებზე წვდომა. ეს შესაძლებლობა თვისებრივად გააუმჯობესებს დოქტორანტების სამუშაო/კვლევით პროცესს. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესის მართვის სისტემა (EEU-EL), რომელიც სასწავლო პროცესების ოპტიმიზაციის საშუალებას იძლევა უნივერსიტეტისთვის და იმავდროულად, სტუდენტს (ამ შემთხვევაში, დოქტორანტს) უადვილებს სწავლების პროცესის მართვას. ექსპერტთა ჯგუფს აქვს ერთი შემოთავაზება - მნიშვნელოვანი იქნება, რომ დოქტორანტებს მათი კვლევის მონაცემების პროგრამული დამუშავების საშუალება ჰქონდეთ, იქნება ეს რაოდენობრივი თუ თვისებრივი კვლევა. ამდენად, სასურველია, უნივერსიტეტმა იზრუნოს, რომ დოქტორანტებს წვდომა ქონდეთ ისეთ პროგრამებზე, როგორიცაა, მაგ. SPSS, NVivo, ATLASti, თუ სხვა. იგივე ეხება ბიბლიოგრაფიული მასალების სისტემატიზების დამხმარე საშუალებებს - EndNote, Mendeley, Zotero (ღია წყარო).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუ ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, უნივერსიტეტმა იზრუნოს, რომ დოქტორანტებს წვდომა ქონდეთ ისეთ პროგრამებზე, როგორიცაა, მაგ. SPSS, NVivo, ATLASti, თუ სხვა. იგივე ეხება ბიბლიოგრაფიული მასალების სისტემატიზების დამხმარე საშუალებებს - EndNote, Mendeley, Zotero (ღია წყარო).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი და ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი ფინანსურად მდგრადია, რასაც უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მასალა ადასტურებს. უნივერსიტეტში გამართულია ბიუჯეტის დაგეგმვისა და მონიტორინგის სისტემა - 6 თვეში ერთხელ ხდება ბიუჯეტის შედეგების მონიტორინგი და შედეგად, მისი კორექტირება, ხოლო 3 წელიწადში ერთხელ - გარე აუდიტი.

უნვერსიტეტი ცდილობს ხელი შეუწყოს და წაახალისოს სამეცნიერო-ვლევით საქმიანობა, რაც სხვადასხვა სახის ფინანსურ ხელშეწყობაში გამოიხატება. უნივერსიტეტს სამი ტიპის რეგულაცია აქვს, რომელიც ამას აწესრიგებს:

- ,,სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი“
- კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წესი
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და წახალისების სპეციალურის ,,ბონუსსისტემა“

ეს ყოველივე მიუთითებს, რომ გარკვეული სახის მხარდაჭერა ხდება, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს გაუჭირდება მისი ეფექტის/წარმატების დონის შეფასება ამ ეტაპზე, რადგან ეს ნაადრევია. ეს შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტი მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრავს გაზომვად ინდიკატორებს და მათ შესაბამისად მოხდენს საკუთარი პროგრესის ანალიზს.

სადოქტორო პროგრამის გადასახადი 4000$-ს გაუტოლდება. უნივერსიტეტის წარმომადგენლები თვლიან, რომ პროგრამაზე მოთხოვნა იქნება და მსურველების გადამხდელუნარიანობაში ეჭვი არ ეპარებათ. ამასთან, როგროც ექსპერტთა ჯგუფს

განუმარტეს, უნივერსიტეტში მუშაობს თანადაფინანსების სისტემა, რომელსაც დოქტორანტები გამოიყენებენ. ამდენად, ესეც გაზრდის მსურველთა პროგრამაში ჩართულობის მაჩვენებელს. იმდენად რამდენადაც პროგრამა ჯერ არ ამუშავებულა, ექსპერტთა ჯგუფი ვერ შეაფასებს, რამდენად რეალისტურია უნივერსიტეტის ეს გათვლა და როგორ აისახება ეს პროგრამის მდგრადობაზე. ამის განსაზღვრას უნვიერსიტეტი პირველი ორი წლის მიღების შემდეგ შეძლებს. ხოლო ამ ეტაპზე, ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია დაასკვნას, რომ ეხლანდელი ფინანსური შესაძლებლობებით, უნივერსიტეტი მზადაა, განახორციელოს პროგრამა და უზრუნველყოს მისი მდგრადობა პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გადამხდელუნარიანი იქნება დოქტორანტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში; ○ ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუ თვითშეფასების გუნდთან; ○ ინტერვიუ უსდ-ს ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს აღოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლების მიზნით კოორდინირებას წარმართავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის მოქმედების არეალი სამი არსებითი მიმართულებით განისაზღვრება, როგორიცაა ხარისხის შიდა და გარე შეფასება, ასევე მონიტორნიგი და მონიტორინგის შედეგების პერიოდული შეფასება. საკუთრივ სამსახური საქმიანობის ფარგლებში ემყარება ეროვნულ (ავტორიზაციისა და აკრედიტაციის) და საერთაშორისო (Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area) სტანდარტებს. ის თანმიმდევრულად მიჰყვება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმებს და შესაბამისად, სისტემურად იყენებს პროცესების ადმინისტრირების ციკლს ე.წ. PDCA ანუ დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პირველ ეტაპზე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ხელმისაწვდომი გახადა აკრედიტაციის საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული სიახლეები და განათლების სისტემის წინაშე არსებული უახლესი გამოწვევები. პროცესების განსახორციელებლად შემუშავებული და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია კონკრეტული რეგულაციები, პროცედურებისა და პროცესების აღმწერი სახელმძღვანელო დოკუმენტები, როგორიცაა, - უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი

(რომელსაც თან ერთვის უნივერსიტეტის პროგრამის განორციელების შიდა თვითშეფასების ანგარიშის ფორმა);
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიური მხარდაჭერითა და თანამშრომლობით წარმოდგენილი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა განათლების მეცნიერებები, აგებულია უნივერსიტეტის მისიისა და ღირებულებების, დარგის სპეციფიკის, საზოგადოების მოთხოვნებისა და უახლესი გამოწვევების გათვალისწინებით, რომლის რეალიზება საგანამანათლრბლო პროგრამაში შედეგია საგანმანათლებლო პროგრამების და მათი განხორციელებით დაინტერესებულ მხარეთა მარდაჭერის მიზნით ფორმირებული მარეგულირებელი წესებითა და ხარისხის უზრუნველყოფის სხვა ნორმატიული დოკუმენტებით.

წინამდებარე დოკუმენტების გაცნობის შემდგომ ცხადად ჩანს, რომ ის სამოქმედო მექანიზმები, რითაც სამსახური ოპერირებს, გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას აკადემიური პროცესების გაუმჯობესების მიზნით. უნივესიტეტს შემუშავებული აქვს დაინტერესებულ პირთა კვლევის კითხვარები. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ახალი, წინამდებარე კვლევები ვერ განხორციელდა. პროგრამის განმახორციელებლები შემოიფარგლნენ გარკვეულ ფოკუს-ჯგუფებთან თანამშრომლობით.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სამფაზიანი პროცედურა, რომელიც გულისხმობს ა) საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირებას, ბ) შემუშავებას და დამტკიცებას და გ) აკრედიტაციას. წინამდებარე პროცედურებს დაექვემდებარა ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა. ინტერვიუებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს მომზადების ცალკეულ ფაზებსა და ეპიზოდებს, რაც ნიშნავს, რომ ისინი ჩართული იყვნენ ამ პროცესებში.

პროგრამის შემუშავება მართებულად დაიგეგმა, რაც საწყის ეტაპზე დასაქმების ბაზარის კვლევითა და მისი სპეციფიკის შესწავლით დაიწყო. დაკვირვების პროცესში მიმოხილულ იქნა განათლების სექტორი, რომლის მონაცემები საქსტატის მიხედვით 2013-2019 წლებით თარიღდება, ანალიზის შედეგებში აღნიშნულია (გვ.7), რომ ბაზარი ამ ეტაპზე გაჯერებული არ არის კადრებით. პროგრამის განმახორციელებლები ვარაუდობენ განათლების სექტორის ზრდის და ასევე განათლების სერვისებზე მოთხოვნის ტენდენციას, რაც პირდაპირ კავშირშია დარგის სპეციალისტებზე მოთხოვნის ზრდასთან (გვ.8). ბაზრის კვლევაში ჩართულია ასევე უცხოელ სტუდენტთა შემოდინების რაოდენობრივი ანალიზი, რაც ასევე მზარდად არის მიჩნეული. კვლევის პროცესში შეფასებულია ასევე საგანმანათლებლო პროგრამები უსდ-ებში.

ფართო და მრავალფეროვანია სპექტრი დამსაქმებლების, რომელთაც ზოგადი ხედვა აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე, თუმცა სასურველი იყო კიდევ უფრო დეტალური ჩართულობა მოსამზადებელ პროცესებში.

განათლების სექტორის ანალიზის დოკუმენტში ხაზგასმით იყო აღნიშნული დარგში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სიმწირე ქართულ საგანმანათლებლო

სივრცეში. არსებითია თუ კი პროგრამის განმახორციელებლები მოახდენდნენ ბაზარზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შედარებას და ასევე ამ პრინციპით განიხილავდნენ ასევე უცხოურ ანალოგებს, რათა დაენახათ საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამის უპირატესობა და/ან გასაუმჯობესებელი მხარეები, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა გეგმავს არამარტო ქართველ, არამედ უცხოელ სტუდენტთა რეკრუტირებას. გარდა ამისა, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა გარდა კურსდამთავრებულის სასწავლო პროცესში ჩართვისა, ასევე გულისხმობს დარგობრივი კვლევების განვითარებას, აქედან გამომდინარე ასევე საინტერესო იქნებოდა დარგში კვლევების მონაცემების შესწავლაც, რაც სწავლა-სწავლების პროცესის უახლეს კვლევებთან დაკავშირების და ქართული საგანმანათლებლო სივრცის უახლესი მეთოდებით კვლევის საფუძველია.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი განათლების მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალია. თვითშეფასების პროცესში ვერ მოხდებოდა პროგრამის განხორციელების

პროცესების შეფასება უნივერსიტეტში მოქმედი მექანიზმებისა და ინსტრუმენტების საშუალებით სრულად. შესაბამისად, ამ მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამას მრავალმხრივი სამუშაო ექნება ჩასატარებელი ამოქმედების შემდგომ, რათა კიდევ უფრო დეტალურად დაინახოს საკუთარი ნიშა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ანგარიში განათლების სექტორში მიმდინარე ტენდენციების მიმოხილვის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი ·
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი·
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა·
- საგანმანალებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი·
- კითხვარები დაინტერესებულ პირთათვის:
- https://bit.ly/39n8VW
- pვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, თუკი პროგრამის განმახორციელებლები მოახდენდნენ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შედარებას და ასევე ამ პრინციპით განიხილავდნენ უცხოურ ანალოგებს, რათა დაენახათ საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამის უპირატესობა და/ან გასაუმჯობესებელი მხარეები, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა გეგმავს არამარტო ქართველ, არამედ უცხოელ სტუდენტთა მოზიდვას;
- საგანმანათლებლო პროგრამის პერსპექტივების გამოკვეთის მიზნით მნიშვნელვანი იქნებოდა, თუ კი პროგრამის განმახორციელებლები შეისწავლიდნენ პოტენციურ სტუდენტთა (ნებისმიერი ამ სფეროში სწავლის გაგრძელების მსურველთა (საკუთარი უნივერსიტეტის ფარგლებში) ან იმ სტუდენტთა, რომლებიც ამ დარგის

საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობენ, ან სწავლობდნენ ქართულ უსდ-ებში.) პოზიციას საგანმანათლებლო პროგრამის და მასში ჩამოყალიბებული კონცეფციის თაობაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების თანახმად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შეფასების გარე მექანიზმებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სახით, ხოლო რეგულაციების სახით ხელმღვანელობს ავტრიზაციისა და აკრედიტაციის დებულებით. უნივერსიტეტი შემუშავებულ ან რეაკრედიტების მიზნით მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დათვითშეფასების ანგარიშს დადგენილი პროცედურების დაცვითა და მომზადებული დოკუმენტებით წარადგენს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. გარე შეფასების შედეგად საგანმანათლებლო პროგრამისადმი წარდგენილ რჩევებსა და რეკომენდაციებს სწავლობს და განიხილავს პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტი, შეიმუშავებს რედაქტირების კონცეფციას და ანხორციელებს განხილვის პროცესში შეჯერებულ ახალ მიდგომებს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. უნივერსიტეტი გარე შეფასების მიზნით პერიოდულად საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას უკვეთავს შესაბამისი დარგის ქართველ და/ან უცხოელ ექსპერტებს. შეფასების

შედეგებს ეცნობა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი პერსონალი, რომელიც დარგობრივი ხედვიდან გამომდინარე გეგმავს რეკომენდაციების დანერგვას პროგრამის ფარგლებში. გარე შეფასების პროცესში ამ ეტაპზე ჩართულნი იყვნენ პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლები. გარე შეფასების აქტივობების ფარგლებში დადასტურდა დამსაქმებელთა პოზიციები, რაშიც ნათლად აისახა დამსაქმებელთა დაინტერესება საგანმანათლებლო პროგრამისადმი. დამსაქმებელთა ინტერვიუირებამ დაადასტურა დამსაქმებელთა დაინტერესება პროგრამით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა თუ კი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები უფრო აქტიურად ჩართავენ დამსაქმებლებს პროგრამის განვითარების პროცესებში, ვინაიდან კურსდათავრებულთა დასაქმება უწინარესად უნდა მოხდეს ქათულ შრომით ბაზარზე, მით უფრო, რომ დარგით დაინტერესება მზარდია და მისი განვითარებისთვის მნიშვნელვონია თანამედროვე კვლევებზე დაფუძნებული ცოდნით აღჭეურვილი დარგის სპეციალისტების ახალი თაობა. მისასალმებელია, რომ პროგრამის განვითარებაში ჩართულია დარგის მაღალკვალიფიციური უცხოელი ექსპერტები, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია თუ საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასებაში ჩაერთვებიან დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ახალი, როგორც არაერთგზის აღინიშნა, წარმოდგენილი არ იყოს კვლევების სრული სურათია, რაც, როგორც ინტერვიუებიდან ჩანს, სრულ ფორმატში წარიმართება საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედებისთანავე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები· ○ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა· ○ შრომის ბაზარის კვლევის შედეგების ანალიზი· ○ ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.
რეკომენდაციები: ○ მნიშვნელოვანია თუ საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასებაში ჩაერთვებიან დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებმა უფრო აქტიურად ჩართონ დამსაქმებლები პროგრამის განვითარების პროცესებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს-აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შესაბამისი სქემები. ამ ეტაპზე, წინამდებარე პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში შეფასება ვერ მოხდებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალი, რაც შეეხება პროგრამის პირველად შეფასებას, ის განორციელდა თვითშეფასების ჯგუფის სამუშაო ფორმატში, როელშიც მონაწილეობას იღებდა მაქსიმალურად ყველა დაინტერესებული მხარე. წინმადებარე პროცესში მაქსიმალური სიზუსტით მოხდა მონაემთა შეგროვება და დამუშავება აქტიური მოცემულობის ფარგლებში, რაც საფუძვლად დაედო შემდგომში საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო ფორმირების პროცესს.

საგანმანათლებლო პროგრამა პერიოდულად შეფასდება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მეშვეობით - უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად პროცესს წარმოადგენ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება. უნივერსიტეტში შიდა ხარისხის სტანდარტის მიხედვით პროგრამები პერიოდულად გადიან მონიტორინგს, რომლის შედეგები ემსახურება ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას, შესაბამისად, ხარისხის კულტურის მუდმივად ამაღლებას ინსტიტუციის ფარგლებში.

წინამდებარე შეფასებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსაზღვრული აქვს კონკრეტული მეთოდოლოგია და შესაბამისი მექნიზმები, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისას გამოიყენება:

- დარგის სიახლეების მიმოხილვა და ანალიზი;
- სტუდენტების დარგობრივი ცოდნითა და უნარებით დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- სტუდენტების კმაყოფილების ყოველსემესტრული კვლევა;
- დარგის სწავლების მეთოდებში დანერგილი სიახლეების ანალიზი;
- დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზი; კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების კვლევა;
- პროგრამასთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი.

წინამდებარე შეფასების მეთოდოლოგიას აქვს გაწერილი პროცედურული ნაწილი, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპს (მათ შორის პირველი: მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავება; მეორე: საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების, აღმომფხვრელი სტრატეგიების განსაზღვრა და პროცესების დაგეგმვა; მესამე: დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ანგარიშგება საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე; მეოთხე: პროგრამის განმახორციელებელი პირთა მიერ ცვლილებების განხორციელება.) ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით განხორციელდება ახალი საგანმანათლებლო პროგრამისთვისაც. განმეორებითი შეფასებები საშუალებას მისცეს პროგრამის განმახორციელებლებს შეაფასონ გამოყენებული მექანიზმები, დახვეწონ და გაუმჯობესონ ისინი. საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შეფასება მიზნად ისახავს პროგრამის მდგრადობაზე დაკვირვებას. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ მონიტორინგის მექანიზმები სრულყოფილად ამოქმედდება წინამდებარე პროგრამისთვისაც, მასზე დაკვირვებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში ფოკუსირდება დოქტორანტების ხელმძღვანელობის, მათი კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და დოქტორანტების კმაყოფილების კვლევა, რომლის დროსაც კვლევის პროცესის დამკვირვებლები დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღების მიზნით, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე ინფორმაციას მიიღებს ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შპს- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა· წლიური შეფასების ანგარიში (ნიმუში)· ○ ხარისხი მექანიზმების გამოყენების ანგარიში· ○ ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: განათლების მეცნიერებები, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნიკოლოზ ფარჯანაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ელენე ჯიბლაძე



ნინო ქიმერიძე

ლანა ბოკუჩავა